

ფერთა სიმბოლიკა და ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებები  
ინგლისურენოვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

მარი ხუტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული  
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი **ნინო კირვალიძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

## SYMBOLISM AND LINGUO-CULTURAL PECULIARITIES OF BASIC COLOURS IN ENGLISH PHRASEOLOGICAL UNITS

### A b s t r a c t

The present paper is devoted to the study of symbolism and lingo-cultural peculiarities of colours in English phraseological units. The thesis is based on the interdisciplinary analysis of phraseological units containing names of colours. The research is restricted to the seven basic colours universally acknowledged and represented by *white, black, red, yellow, blue, green* and *gray*. My study aims to identify those cognitive, that is, conceptual metaphorical mechanisms that find their explication in lots of idiomatic expressions comprising colour denoting terms.

The analysis of the empirical material has shown that symbolic meanings of different colours are predetermined by the Anglophone culture and historic events that are stored and cherished in the nation's memory throughout centuries via lots of phraseological units and sayings. The analysis also revealed that idiomatic, that is, figurative transferred meaning of these lingual units is formed by the simultaneous realisation of both its direct and associative meanings, the latter based on the universal prototypes of their concepts as perceived by the native speakers.

The paper consists of an introduction, three chapters, conclusions and the list references. The first chapter reviews linguistic literature and aspects of interdisciplinary study of phraseological units, thus forming theoretical framework of the research. The second chapter deals with the symbolic meanings of the basic colours in Anglophone culture that is verbally embodied in idiomatic expressions. The third chapter provides conceptual metaphorical models that gave birth to lots of phrases and idiomatic expressions. The concluding part contains theoretical generalizations of the conducted research and its results.

Key words: symbolism of basic colours, idioms containing colour terms, cognitive/conceptual metaphorical models.

# ფერთა სიმბოლიკა და ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებები ინგლისურენოვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ფერთა სიმბოლიკასა და ლინგვოკულტუროლოგიურ თავისებურებებს ინგლისურენოვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს იმ ფრაზეოლოგიური ერთეულების ინტერდისციპლინური კვლევა, რომლებიც შეიცავენ კომპონენტს „ფერი“. ნაშრომი მოიცავს შვიდ ძირითად ფერს: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე და რუხი. კვლევის მიზანია ფერის კომპონენტის შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობის წარმოქმნის კოგნიტური, ანუ კონცეპტუალური მეტაფორული მექანიზმების გამოვლენა.

ემპირიული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ფერის სიმბოლოურ მნიშვნელობას ანგლოფონური კულტურა და ის ისტორიული მოვლენები განაპირობებს, რომლებიც ერის მეხსიერებაში საუკუნეების განმავლობაში ინახება ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და ანდაზების მეშვეობით. ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ ამ ენობრივ ერთეულთა იდიომატური, გადატანითი მნიშვნელობა წარმოიქმნება პირდაპირი და ასოციაციური მნიშვნელობების ერთდროული რეალიზაციით, ეს უკანასკნელი კი მოცემული ენობრივი ერთეულების კონცეპტების უნივერსალურ პროტოტიპებს ემყარება.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის სიას. პირველ თავში განხილულია ლიგვისტური ლიტერატურა და ფრაზეოლოგიური ერთეულების ინტერდისციპლინური კვლევის ასპექტები, რაც კვლევის თეორიულ საფუძველს ქმნის. მეორე თავი ეხება ანგლოფონურ კულტურაში ძირითადი ფერების სიმბოლოურ მნიშვნელობებს, რომლებიც ვერბალურად გამოიხატება იდიომატურ გამონათქვამებში. მესამე თავში კი წარმოდგენილია ის კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები, რომლებიც განაპირობებენ უამრავი ფრაზისა და იდიომატური გამონათქვამის წარმოქმნას. დასკვნაში მოცემულია ჩატარებული კვლევის თეორიული განზოგადებები და მისი შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ძირითად ფერთა სიმბოლიზმი, ფერთა მნიშვნის შემცველი იდიომები, კოგნიტური/კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები.